სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

60224702233913

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130323697

რეგისტრაციის თარიღი

04.04.2013 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის ოთხ აპრილს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართა **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა « ალიანსი 2001»-ის (საიდენტიფიკაციო კოდი 105163750) თავმჯდომარემ ზვიად ზაქაიძემ.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ზვიად ზაქაიძემ** (დაბადებული 20.09.1959წ. ლაგოდეხში, რეგისტრირებული მისამართზე ქ.თბილისი, აფაქიძის ქ. 15, ბარათის #12IA44103, პირადი ნომერი – 01026002658, გაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 09.08.2012წ.) მომმართა. მე შევამოწმე **ზვიად ზაქაიძის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ **ზვიად ზაქაიძემ** ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა « ალიანსი 2001»-ის თავმჯდომარე ზვიად ზაქაიძე (დაბადებული 20.09.1959წ. ლაგოდეხში, რეგისტრირებული მისამართზე ქ.თბილისი, აფაქიძის ქ. 15, ბარათის #12IA44103, პირადი ნომერი – 01026002658, გაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 09.08.2012წ.) ვენდობი **ნანა კაპანაძეს** (დაბ. 01.08.1971წ. ამბროლაურში, პირადი: 01008037746) იყოს **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა « ალიანსი 2001»-ის** სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ქ. თბილისის მერიაში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს სამშენებლო დოკუმენტაცია ცვლილებების განხორციელების მიზნით, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ხელზე მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, გამოითხოვოს ინფორმაცია, შეიტანოს განცხადებები, გადაიხადოს საჭირო გადასახადები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც ამ დავალების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2016 წლის ოთხი აპრილის ჩათვლით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 10 ლარი, *(თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა),* აგრეთვე დ.ღ.გ 1 ლარი და 80 თეთრი *(თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა)* და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი *(თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.*

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა
« ალიანსი 2001»-ის თავმჯდომარე

ზვიად ზაქაიძე _____

ნოტარიუსი: _____ ნანა ბაკურაძე

საქართველო. ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე. GEORGIA. NOTARY NANA BAKURADZE. 01024030536

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა

"ალიანსი 2001"-ის დამფუძნებელ წევრთა

კრების ოქმი

ქ. თბილისი 4 აპრილი 2013 წელი

კრებას ესწრებოდნენ ქალაქ თბილისის ნოტარიუსის, ნ. გინტურის მიერ 2006 წლის 3 აგვისტოს (რეესტრის №1-10126) დამოწმებული იბა "ალიანსი 2001"-ის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი იბა "ალიანსი 2001"-ის დამფუძნებელი წევრები: **ზვიად ზაქაიძე** (დაბ 20.09.1959წ, პირადი 01026002658) თვითონ და როგორც **ელენე ჩლაიძის** (დაბ. 20.04.1961წ. პირადი №01008020208) მინდობილი პირი, თანახმად მინდობილობისა დამოწმებული ქ. თბილისის ნოტარიუსის ნანა ბაკურაძის მიერ 2011 წლის 21 ივნისს სანოტარო მოქმედების რეგ № 110626402

კრების თავმჯდომარე: ზვიად ზაქაიძე

<u>დღის წესრიგი:</u> 1. ამხანაგობის მიერ წარმოებული მშენებლობის პროექტში (ქ. თბილისი, ქუჩა აკური, №30 / ქ. თბილისი, ქუჩა აკური, №30 (ნაკვ. 34/10) / ქ. თბილისი, ქუჩა ალექსიძე, №1 (ნაკვ. №34/32) ცვლილებების შეტანა.

<u>მომხსენებელი: ზვიად ზაქაიძე</u>

ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად, კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იბა "ალიანსი 2001" დაფუძნდა 2006 წლის 3 აგვისტოს. დაფუძნებისას მისი დამფუძნებლები იყვნენ: ზვიად ზაქაიძე, ლევან ოდიშარია და გულნაზი გოგოლაძე. 2010 წლის 16 აპრილს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების გადაწყვეტილებით, გულნაზი გოგოლაძე და ლევან ოდიშარია გაყვანილ იქნენ ამხანაგობიდან და თავიანთი უფლებები და ვალდებულებები საკუთრებაში გადასცეს გიორგი ზაქაიძეს, რაც დასტურდება ქ. თბილისის ნოტარიუსის ნ. გინტურის მიერ დამოწმებული 16.04.2010 წ. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა №15 გადაწყვეტილებით (რეესტრის №100354212).

2011 წლის 30 მარტს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების გადაწყვეტილებით გიორგი ზაქაიძე გაყვანილ იქნა ამხანაგობიდან და თავისი უფლებები და

ვალდებულებები საკუთრებაში გადასცა ელენე ჩლაიძეს, რაც დასტურდება ქ. თბილისის ნოტარიუსის ნ. ჯანხოთელის მიერ დამოწმებული 30.03.2011 წ. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმით (რეესტრის №110325286).

დღეისათვის ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს წარმოადგენენ:

1. ზვიად ზაქაიძე;
2. ელენე ჩლაიძე.

<u>დაადგინეს:</u> ამხანაგობის მიერ წარმოებული მშენებლობის პროექტში (ქ. თბილისი, ქუჩა აკური, №30 / ქ. თბილისი, ქუჩა აკური, №30 (ნაკვ. 34/10) / ქ. თბილისი, ქუჩა ალექსიძე, №1 (ნაკვ. №34/32) შეტანილ იქნეს ცვლილებები და აღნიშნულის შესახებ ყოველგვარი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება და ასევე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება დაევალოს ამხანაგობის თავმჯდომარეს ზვიად ზაქაიძეს, რომელიც ასევე უფლებამოსილია აღნიშნული უფლებამოსილება მინდობილობის საფუძველზე გადაანდოს მესამე პირ(ებ)ს.

ამხანაგობა „ალიანსი 2001“-დამფუძნებელი წევრები:

კრების თავმჯდომარე: ზვიად ზაქაიძე

ელენე ჩლაიძის მინდობილი პირი ზვიად ზაქაიძე

სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის ოთხ აპრილს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, **კოსტავას ქ. №76-ში**, მომმართა **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ალიანსი 2001"-ის თავმჯდომარემ ზვიად ზაქაიძემ თვითონ და როგორც ამხანაგობის დამფუძნებელი წევრის ელენე ჩლაიძის მინდობილმა პირმა (თანახმად მინდობილობისა დამოწმებული ნოტარიუს ნანა ბაკურაძის მიერ 2011 წლის 21 ივნისს, რეგ. #110626402),** რომელმაც წარმოადგინა **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის** ამხანაგობა "ალიანსი 2001"-ის 2013 წლის ოთხი აპრილის კრების ოქმი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ზვიად ზაქაიძემ** (დაბადებული 20.09.1959წ. ლაგოდეხში, რეგისტრირებული მისამართზე ქ.თბილისი, აფაქიძის ქ. 15, ბარათის #12IA44103, პირადი ნომერი – 01026002658, გაც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 09.08.2012წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ **ზვიად ზაქაიძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე კრების ოქმზე.

რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე კრების ოქმის ორ ეგზემპლიარზე შესრულებული ოთხი ხელმოწერის დამოწმებისათვის) 8 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ 1 ლარი და 44 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა): – სულ გადახდილია 11 ლარი და 44 თეთრი.

ნოტარიუსი ---------- ნანა ბაკურაძე

საქართველო. ნოტარიუსი. NOTARY. GEORGIA. ნანა ბაკურაძე NANA BAKURADZE 01024030536

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130323661
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.04.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანა ბაკურაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	33 18 67
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	93760417358913

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18